2023 წლის IV კვარტალის მაკროეკონომიკური მიმოხილვა

2023 წლის IV კვარტალის მნიშვნელოვანი მაჩვენებლები*

- 2023 წლის IV კვარტალში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი 6.8%-ით გაიზარდა, რაც პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ ნოემბრის თვეში პროგნოზირებულ 6.2%-ზე მეტია.
- 2023 წლის IV კვარტალში წლიური ინფლაცია 0.4%-ს გაუტოლდა, რაც მიზნობრივი ინფლაციის 3.0%-იან მაჩვენებელზე ნაკლებია.
- 2023 წლის IV კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითმა მთლიანმა სალდომ 1,229.7 მლნ ლარი შეადგინა.
- მთლიანი სახელმწიფო ვალი ზრდის ტენდენციას ავლენს. შემცირებულია საგარეო ვალის წილი მთლიან სახელმწიფო ვალში, კერძოდ, 2023 წლის IV კვარტალში საგარეო ვალის წილმა 72.9% შეადგინა, მაშინ როდესაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდში 76.0% იყო.
- 2023 წლის III* კვარტალში გაუმჯობესდა საგადასახდელო ბალანსი. კერძოდ, მიმდინარე ანგარიშის დადებითმა სალდომ 163.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 51.2%-ით ნაკლებია გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე.
- 2023 წლის IV კვარტლის ბოლოსათვის საერთაშორისო რეზერვებმა 5,009.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით2.2%-ით მეტია.
- 2023 წლის IV კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ექსპორტის წილი საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვის მთლიან მოცულობაში 27.3%-დან 27.8%-მდე გაიზარდა.
- წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2023 წლის IV კვარტალში საქართველოში ფულადი გზავნილები 43.3%-ით შემცირდა და 884.0 მლნ დოლარი შეადგინა.
- მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთი 2023 წლის IV კვარტალის ბოლოს 9.5%-ით განისაზღვრა.
- ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ წინა კვარტალთან შედარებით 2.7%-ით გაუფასურდა, ხოლო 2022 წლის IV კვარტალთან მიმართებით 1.5%-ით გამყარდა.
- დოლარიზაციის მაჩვენებელი, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით დეპოზიტებზე შემცირდა, ხოლო სესხებზე გაიზარდა.

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო პოლიტიკის განყოფილება

ელ-ფოსტა: pbo@parliament.ge

*სტატისტიკური ინფორმაციის გამოქვეყნების კალენდრის მიხედვით ზოგიერთი მონაცემი წარმოადგენს წინა კვარტლის ცვლადს.

1. რეალური სექტორი

სტატისტიკის სამსახურის წინასწარი შეფასებით, 2023 წლის IV კვარტალში მშპ-ის საშუალო რეალურმა ზრდამ 6.8% შეადგინა.

საბიუჯეტო ოფისის მიერ 2023 წლის ნოემბერში მომზადებული მეოთხე კვარტლის ეკონომიკური ზრდის შეფასება 6.2% [1] -ით განისაზღვრა, რაც საქართველოს ეკონომიკაზე ქვეყანაში არსებულ როგორც ინფლაციის დაბალ მაჩვენებლებს, ასევე რუსეთ-უკრაინას შორის საომარი მდგომარეობის გავლენასითვალისწინებდა.

საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2023 წლის IV კვარტალში მშპ-ს პოტენციური დონე ჩამორჩებოდა სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ შეფასებულ წინასწარ მონაცემს, შესაბამისად მშპ-ს გაპი იყო დადებითი და 1.4%-ს გაუტოლდა. აღსანიშნავია, რომ წინა კვარტალში მშპ-ის გაპი დადებითი (0.8%) იყო.





საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2023 წლის III* კვარტალშიმშპ-ს ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი ინვესტიციების და მოხმარების ზრდას ჰქონდა.

მშპ-ის კომპონენტების ანალიზის მიხედვით, 2023 წლის III* კვარტალში რეალური მშპ-ის ზრდის ტემპში დადებითი წვლილი ინვესტიციების (6.97 პპ) და მოხმარების (2.58 პპ) კომპონენტებმა შეიტანა. აღნიშნულ პერიოდში უარყოფითი გავლენა მშპ-ზე ექსპორტს (-0.94 პპ) და იმპორტს (-2.87 პპ) ჰქონდა.

[1] www.pbo.parliament.ge

2023 წლის III* კვარტალში მშპ-ის სტრუქტურაში ყველაზე მაღალი წილი საბითუმო და საცალო ვაჭრობას ჰქონდა.

2023 წლის III* კვარტალში მშპ-ის დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე მაღალი წილი[2] საბითუმო და საცალო ვაჭრობას ჰქონდა (15.9%). ასევე მნიშვნელოვანი წილითაა წარმოდგენილი უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები (10.2%), დამამუშავებელი მრეწველობა (9.9%), სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა (7.9%), მშენებლობა (7.8%), სახელმწიფო მმართველობა, თავდაცვა, სოციალური უსაფრთხოება (6.5%), ტრანსპორტი და დასაწყობება (6.1%), ინფორმაცია და კომუნიკაცია (5.5%).

მშპ-ს დარგობრივი სტრუქტურა



ეკონომიკის ზრდა 2019 წელთან შედარებით



თვიურ მონაცემებზე დაკვირვებით ვლინდება, რომ ეკონომიკური ზრდის ტრენდი წრფივი არ არის.

საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, წინასწარი მონაცემებით, 2023 წლის IV კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მშპ-ის ტრენდის[3] ზრდის ტემპმა 5.2% შეადგინა. 2022 წლის IV კვარტალში აღნიშნული მაჩვენებელი 8.7% იყო. აღსანიშნავია, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში პანდემიამდელ, 2019 წელთან შედარებით, ეკონომიკის აღდგენის მაღალი ტემპები შეინიშნება. (2023 წლის მე-4 კვარტალში, 2019 წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით, ეკონომიკური ზრდა 18.1%-ს შეადგენს).

რეალური მშპ-ის ტრენდი



[2] წილი დათვლილია მშპ-ში მიმდინარე ფასებით
[3] ტრენდი წარმოადგენს ყოველთვიური ეკონომიკური ზრდის შეფასებას სეზონურობის და შემთხვევითი რყევების გამორიცხვით



2023 წლის IV კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია კლების ტენდენციას ავლენს.

2023 წლის IV კვარტალში წლიური ინფლაციის საშუალო მაჩვენებელმა 0.4% შეადგინა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3.0%-იან მაჩვენებელზე ნაკლები. ინფლაციის ზრდის ტემპში დადებითი წვლილი შეიტანა ძირითადად სასტუმროებზე, კაფეებსა და რესტორნებზე, განათლებაზე, ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოზე, საცხოვრებელზე, ტრანსპორტსა და სხვა სასაქონლო ჯგუფებზე ფასების დინამიკამ.

2023 წლის IV კვარტალში საბაზო ინფლაციამ (სურსათისა და ენერგომატარებლების ფასების გამორიცხვით, რომლებიც მაღალი მერყეობით გამოირჩევიან) 2.2% შეადგინა.

2. ფისკალური სექტორი



2023 წლის IV კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.

2023 წლის IV კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2.2%-ით გაიზარდა და 5,866.2 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა 7.8%-ით განისაზღვრა და 7,276.5 მლნ ლარს გაუტოლდა.

2022 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდოს მაჩვენებელი 77.1 მლნ ლარით შემცირდა და 712.2 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო უარყოფითი მთლიანი სალდო 1229.7 მლნ ლარით განისაზღვრა. შედარებისათვის, წინა წლის IV კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო 892.9 მლნ ლარს შეადგენდა.

2023 წლის IV კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 0.2%-ით გაიზარდა და 5,330.4 მლნ ლარით განისაზღვრა.

2023 წლის IV კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის პირდაპირი გადასახადები 8.6%-ით შემცირდა და 2,392.0 მლნ ლარი შეადგინა, არაპირდაპირმა გადასახადებმა კი 8.7%-ით მოიმატა და 2,938.4 მლნ ლარს გაუტოლდა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ პერიოდში გრანტების კომპონენტი გაიზარდა 24.8%-ით და 52.3 მლნ ლარით განისაზღვრა, ხოლო სხვა შემოსავლებმა 28.0%-ით მოიმატა, რამაც 483.5 მლნ ლარი შეადგინა.





2023 წლის IV კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, როგორც მიმდინარე ხარჯები, ასევე არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები ზრდის ტენდენციას ავლენს.

2023 წლის IV კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯები 5,154.0 მლნ ლარს შეადგენს, ანუ გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 4.1%-ით მეტს. არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი 2,122.5 მლნ ლარს უტოლდება, რაც წინა წლის შესაბამის მონაცემს 17.7%-ით აჭარბებს. აღნიშნულ პერიოდში 18.1%-ით არის გაზრდილი ხარჯები საქონელსა და მომსახურებაზე, რამაც 848.5 მლნ ლარი შეადგინა. შრომის ანაზღაურებაზე ხარჯებმა 758.3 მლნ ლარი შეადგინა (მოიმატა 24.4%-ით), ხოლო სოციალური უზრუნველყოფის ხარჯებმა - 1,821.6 მლნ ლარი (მოიმატა 11.6%-ით). დანარჩენი ხარჯები (პროცენტი, სუბსიდიები, გრანტები, სხვა დანახარჯები) 13.3%-ით შემცირდა და 1,725.0 მლნ ლარით განისაზღვრა.



2023 წლის IV კვარტლის ბოლოს (31 დეკემბრის მდგომარეობით) სახელმწიფო ვალის ნაშთმა ნომინალურ გამოსახულებაში 31,400 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 5.9%-ით მეტია.

2023 წლის IV კვარტლის ბოლოს სახელმწიფო ვალის მოცულობაში საგარეო ვალის წილი 72.9%-ს შეადგენს (2022 წლის IV კვარტლის ბოლოს - 76.0%), ხოლო საშინაო ვალის წილი - 27.1%-ს (2022 წლის IV კვარტლის ბოლოს - 24.0%).



3. საგარეო სექტორი



2023 წლის III* კვარტალში საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დადებითი სალდო დაფიქსირდა.

2023 წლის III* კვარტალში, მიმდინარე ანგარიშის დადებითმა სალდომ 163.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 51.2%-ით ნაკლებია გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე. მშპ-თან მისი თანაფარდობის მაჩვენებელი 2.0%-ით განისაზღვრა. მიმდინარე ანგარიშის კომპონენტების მიხედვით, საქონლით სავაჭრო ბალანსის და წმინდა შემოსავლების დეფიციტს მიმდინარე ტრანსფერტებისა და მომსახურების დადებითი სალდო ფარავს, საიდანაც აღსანიშნავია საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლების დადებითი დინამიკა. კერძოდ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, 2023 წლის III კვარტალში აღნიშნული მაჩვენებელი 5.3%-ით გაიზარდა და 1,447.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.



2023 წლის III* კვარტალში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების ძირითად წყაროს პირდაპირი და სხვა უცხოური ინვესტიციები წარმოადგენდა.

აღნიშნულ პერიოდში წმინდა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 227.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (მშპ-ის მიმართ 2.8%), რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 70.7%-ით ნაკლებია.





2023 წლის IV კვარტალში მთლიანმა საერთაშორისო რეზერვებმა 5,009.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

2023 წლის IV კვარტლის ბოლოსათვის საერთაშორისო რეზერვების ოდენობა 5,009.6 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, ანუ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2.2%-ით მეტი.

2023 წლის IV კვარტალში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სავალუტო აუქციონზე 84.9 მლნ აშშ დოლარი გაყიდა.



2023 წლის IV კვარტალში საქონლით საგარეო ვაჭრობაში როგორც ექსპორტის, აგრეთვე იმპორტის კლების ტენდენცია გამოიკვეთა.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2023 წლის IV კვარტალში საქონლის ექსპორტი 0.3%-ით შემცირდა და 1,491.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საქონლის იმპორტის 2.7%-იანი კლება დაფიქსირდა, რაც 3,878.3 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა. საანალიზო პერიოდში ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 27.8%-ით განისაზღვრა. 2023 წლის I-IV კვარტალში უმსხვილეს საექსპორტო საქონელს მიეკუთვნებოდა მსუბუქი ავტომობილები (34.9% ექსპორტის მთლიან მოცულობაში), სპილენძის მადნები და კონცენტრატები (7.9%), ნატურალური ღვინოები (4.3%), სპირტიანი სასმელები (3.2%), ფეროშენადნობები (3.0%), აზოტოვანი სასუქები (2.6%) და სხვა.





2023 წლის IV კვარტალში, შემცირდა როგორც საერთაშორისო მოგზაურების, ასევე საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა.

2023 წლის IV კვარტალში საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობამ 1,505,240 შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 1.9%-ით ნაკლებია. საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები მოიცავს საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტებსაც, რომელიც IV კვარტალში 1,343,303 იყო (კლება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შეადგენს 1.5%-ს). აღნიშნულ პერიოდში ყველაზე მეტი საერთაშორისო ვიზიტორის ვიზიტი განხორციელდა თურქეთიდან (315,241; კლება წინა წლის IV კვარტალთან 17.5%), რუსეთიდან (269,411; კლება 12.2%), სომხეთიდან (226,454; ზრდა 2.5%),

2023 წლის IV კვარტალში შემოსავლებმა საერთაშორისო მოგზაურობიდან 873.7 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 12.6%-ით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.



2023 წლის IV კვარტალში საქართველოში ფულადი გზავნილები შემცირდა.

წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2023 წლის IV კვარტალში საქართველოში ფულადი გზავნილები 43.3%-ით შემცირდა და 884.0 მლნ დოლარი შეადგინა. გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (გზავნილების მთლიანი ოდენობის 38.6%) და რუსეთი (23.5%) წარმოადგენენ. წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, გზავნილების მოცულობამ მნიშვნელოვნად მოიმატა აშშ-დან (38.3%), იტალიიდან (17.8%), გერმანიიდან (30.1%), ყაზახეთიდან (55.4%), საბერძნეთიდან (9.5%), ისრაელიდან (7.6%), ირლანდიიდან (66.5%) და სხვა. ფულადი გზავნილები მკვეთრად შემცირდა ყირგიზეთიდან (81.5%), სომხეთიდან (61.2%), რუსეთიდან (77.7%) და სხვა.



4. მონეტარული სექტორი

2023 წლის IV კვარტალში მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთმა 9.5% შეადგინა.

2022 წლის 30 მარტს მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება განაკვეთის 0.5%-ული პუნქტით 11.0%-მდე გაზრდის თაობაზე. 2022 წლის განმავლობაში, ასევე 2023 წლის 1 თებერვლისა და 29 მარტის გადაწყვეტილებებით მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი უცვლელი (11.0%) დარჩა. 2023 წლის 10 მაისს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 0.5%-ული პუნქტით შემცირდა და 10.5% შეადგინა. მომდევნო პერიოდში განაკვეთი ეტაპობრივად 0.25%-ული პუნქტით მცირდებოდა და 13 სექტემბრის გადაწყვეტილებით 10.0% დაფიქსირდა, 25 ოქტომბერს უცვლელი დარჩა, ხოლო 20 დეკემბერს 0.5%-ული პუნქტით შემცირდა და 9.5% შეადგინა





2023 წლის IV კვარტალში საბაზრო საპროცენტო განაკვეთი სესხებზე 13.3%-ს შეადგენდა.

2023 წლის IV კვარტალში საბაზრო საპროცენტო განაკვეთი სესხებზე, წინა კვარტალთან შედარებით, 0.12%-ული პუნქტით შემცირდა და 13.3%-ით განისაზღვრა. ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 15.7% შეადგინა (0.24%-ული პუნქტით ნაკლები), ხოლო უცხოურ ვალუტაში სესხებზე - 9.1% (0.49%-ული პუნქტით მეტი).

2023 წლის IV კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, ლარი ყველა ძირითად ვალუტასთან მიმართებით გაუფასურდა, თურქული ლირისა და სომხური დრამის გარდა.

2023 წლის IV კვარტალში წინა კვარტალთან შედარებით, ლარი (პერიოდის საშუალო) აშშ დოლარის მიმართ 2.7%-ით გაუფასურდა, ხოლო 2022 წლის IV კვარტალთან მიმართებით, 1.5%-ით გამყარდა. 2022 წლის IV კვარტალთან შედარებით, ლარი გაუფასურდა ევროსთან (3.9%-ით), ხოლო გამყარდა შემდეგ ვალუტებთან მიმართებით: თურქულ ლირასთან (55.4%), რუსულ რუბლთან (50.3%-ით), აზერბაიჯანულ მანათთან (1.7%-ით), სომხურ დრამთან (2.7%-ით) და უკრაინულ გრივნასთან (0.6%-ით).





2023 წლის IV კვარტალში, ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხები (ნაშთები) გაიზარდა.

2023 წლის IV კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემულმა სესხებმა 15.0%-ით მოიმატა და 50,855 მლნ ლარი შეადგინა. უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანი სესხების ნახევარზე მეტი (53.5%) შინამეურნეობებზე მოდის.

რაც შეეხება გაცემულ სესხებს საქმიანობის სახეების მიხედვით, საანალიზო პერიოდის ბოლოს, ყველაზე მეტი - 21.3% გაცემულია ვაჭრობის დარგში, 19.5% - მშენებლობის, 18.5% - მრეწველობის, 13.2% - უძრავი ქონებით ოპერაციების და 7.5% - სასტუმროებისა და რესტორნების დარგებში.



2023 წლის IV კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი დეპოზიტებზე შემცირდა, ხოლო სესხებზე მცირედით გაიზარდა.

2023 წლის I კვარტალში დეპოზიტებზე დოლარიზაციის მაჩვენებელმა 50.8% შეადგინა, სესხებზე დოლარიზაციის მონაცემი კი 44.4%-ით განისაზღვრა. II კვარტალში დეპოზიტებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი 48.6%-ს, სესხებზე კი 45.0%-ს გაუტოლდა. III კვარტალში დოლარიზაციის მაჩვენებელმა დეპოზიტებზე 48.1% შეადგინა, სესხებზე კი დოლარიზაციის მონაცემი 44.8%-ით განისაზღვრა.

IV კვარტალში დოლარიზაციის მაჩვენებელმა დეპოზიტებზე 47.0% შეადგინა, ანუ წინა კვარტალთან შედარებით 1.1%-ული პუნქტით, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე კი 6.0%-ული პუნქტით ნაკლები. სესხებზე დოლარიზაციის მონაცემი 45.1%-ით განისაზღვრა, რაც წინა კვარტალთან მიმართებით 0.3%-ული პუნქტით, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ასევე 0.3%-ული პუნქტით მეტია.



5. სოციალური სფერო



2023 წლის IV კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, საარსებო მინიმუმი შემცირდა.

2023 წლის IV კვარტლის ბოლოს - დეკემბერში საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმმა 221.1 ლარი შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 3.4 ლარით ნაკლებია, ხოლო წინა კვარტალთან მიმართებით - 1.1 ლარით ნაკლები.

რაც შეეხება 2023 წლის IV კვარტლის საარსებო მინიმუმის საშუალო მაჩვენებელს, წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან მიმართებით შემცირებულია 1.1%-ით.

2023 წლის IV კვარტალში, წინა წლის IV კვარტალთან მიმართებით, ჯანდაცვაზე გაწეული სახელმწიფო დანახარჯები შემცირდა, განათლებაზე კი გაიზარდა.

2023 წლის IV კვარტალში განათლებაზე გაწეულმა ხარჯებმა (ფუნქციონალურ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით) 696.0 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემთან მიმართებით 42.7%-ით მეტია. ჯანდაცვაზე გაწეული დანახარჯები 435.1 მლნ ლარით განისაზღვრა, ანუ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 17.2%-ით ნაკლები.





2023 წლის III* კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გაიზარდა როგორც დასაქმებულთა, ასევე უმუშევართა რაოდენობა.

2023 წლის III* კვარტალში სამუშაო ძალამ 1,618.5 ათასი კაცი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 9.1 ათასით აღემატება. მათ შორის, დასაქმებულთა რაოდენობა 1,366.3 ათასი კაცით განისაზღვრა (0.6%-ით მეტი წინა წლის მაჩვენებელზე). დაქირავებულთა წილი მთლიან დასაქმებულთა რაოდენობაში 69.0%-ია, თვითდასაქმებულთა წილი კი - 30.9%. რაც შეეხება უმუშევართა რაოდენობას, აღნიშნული მაჩვენებელი საანალიზო პერიოდში 252.2 ათასი კაცს შეადგენდა, ანუ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 0.6%-ით მეტს.

აღსანიშნავია, რომ დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი მე-3 კვარტალში 1855.4 ლარს გაუტოლდა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 16.3%-ით აღემატება.

საანალიზო პერიოდში უმუშევრობის დონემ 15.6% შეადგინა (თითქმის არ შეცვლილა წინა წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით).

2023 წლის III* კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ბიზნესს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა და შრომის ანაზღაურება ზრდის ტენდენციას ავლენს.

2023 წლის III* კვარტალში ბიზნესს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობამ 757.9 ათასი კაცი შეადგინა (მათ შორის, დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა - 721 ათასი კაცი), რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 4.8%-ით მეტია. რაც შეეხება ბიზნეს სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურებას, აღნიშნული მაჩვენებელი საანალიზო პერიოდში 2,007.2 ლარით განისაზღვრა, ანუ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 17.1%-ით მეტი.



გამოყენებული მონაცემების წყარო:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
3. საქართველოს ეროვნული ბანკი
4. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია